



## Tax Newsletter

February 2026

### Submission of Information on International Controlled Transactions

Pursuant to the amendment introduced by Order No. 52 of the Minister of Finance of Georgia dated February 24, 2026, to Order No. 996 of December 31, 2010 of the Minister of Finance of Georgia “On Tax Administration,” the annual Corporate Income Tax return form and the monthly Corporate Income Tax return form (only for the March reporting period) have been supplemented with an annex titled: “Information on International Controlled Transactions as Provided for in Articles 126–129<sup>1</sup> of the Tax Code of Georgia.”

According to the amendment, an enterprise is required to disclose in the above-mentioned annex information on international controlled transactions carried out during the 2025 and subsequent calendar years, if the total amount of international controlled transactions conducted by the enterprise (including gratuitous transactions and outstanding creditor/debtor balances) exceeds GEL 500,000 in aggregate within a single calendar year.

#### International Controlled Transactions

It is important for the taxpayer to determine what is considered an international controlled transaction. International controlled transactions include transactions that are carried out between a resident enterprise of Georgia and a non-resident enterprise, and the non-resident enterprise is a related party of the Georgian enterprise and/or a person registered in a preferential tax jurisdiction (offshore).

Two enterprises are considered related enterprises if one person directly or indirectly participates in the management, control, or capital of the other person. Also, if the same persons directly or indirectly participate in the management, control, or capital of two persons.

Direct or indirect participation in the management, control, or capital of an enterprise implies:

- If a person directly or indirectly owns more than 50 percent of the enterprise; and/or
- He/she effectively exercises control over the enterprise’s business decisions.



Andersen Georgia LLC  
3 Lado Kavsadze street  
0162 Tbilisi, Georgia  
[ge.andersen.com](http://ge.andersen.com)

შპს ანდერსენ ჯორჯია  
ლადო კავსაძის ქუჩა 3  
0162 თბილისი, საქართველო  
[ge.andersen.com](http://ge.andersen.com)

In the event that the total amount of transactions carried out in 2025 by a resident enterprise of Georgia with a related and/or offshore-registered enterprise exceeds GEL 500,000, the Georgian enterprise must reflect in the mentioned annex information about the international controlled transactions carried out during 2025. If the enterprise is taxed under the Estonian model of profit taxation (distributed profit), it shall reflect the information in the declaration to be submitted for the March 2026 reporting period, accordingly the deadline for submission of information will be April 15, 2026, and in other cases the above-mentioned information shall be reflected when filing the annual profit tax return, accordingly, the deadline will be April 1.

### Importance of Transfer Pricing Documentation and Risks of Its Absence

Within the framework of this amendment, maintaining detailed records of international controlled transactions and preparing appropriate transfer pricing documentation becomes even more important.

Since the taxpayer must indicate in the tax return whether documentation supporting the valuation of controlled transactions exists, the absence of such documentation serves as an indication to the tax authority that the transactions conducted may not comply with the arm's length principle. This, in turn, creates additional tax risks for the enterprise.

**The amendment entered into force on February 25, 2026, and applies to information to be submitted for the 2025 and subsequent reporting periods.**

This publication provides only general information, and it is not recommended to make decisions on specific cases based solely on this document. It is important that you consult a professional before making any decisions. Andersen in Georgia disclaims any liability for any loss resulting from actions taken or not taken by individuals relying on the information in this publication or making decisions based on it. In case you would like to discuss the issues addressed in this publication with relation to the specific circumstances relevant for you, please contact Andersen in Georgia.

**George Svanadze, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)**

**Senior Partner | Attorney-at-Law**

[george.svanadze@ge.andersen.com](mailto:george.svanadze@ge.andersen.com)

**Lasha Adamashvili, LLB, LL.M**

**Head of Tax and Advisory**

[lasha.adamashvili@ge.andersen.com](mailto:lasha.adamashvili@ge.andersen.com)

**Giorgi Khanjaliashvili, LLB, LL.M**

**Tax Manager – Tax and Advisory**

[giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com](mailto:giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com)



## საგადასახადო სიახლეები თებერვალი 2026

### საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის წარდგენა

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში 2026 წლის 24 თებერვალს საქართველოს ფინანსთა მინისტრის N52 ბრძანებით შეტანილი ცვლილების შესაბამისად მოგების გადასახადის (წლიური) დეკლარაციის და მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის (მხოლოდ მარტის თვის საანგარიშო პერიოდის) ფორმებს დაემატა დანართი - „ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 126-129<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ“.

ცვლილების თანახმად საწარმო ვალდებულია ზემოაღნიშნულ დანართში ასახოს ინფორმაცია 2025 და შემდგომი კალენდარული წლების განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ თუ საწარმოს მიერ განხორციელებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების (მათ შორის უსასყიდლო ოპერაციისა და კრედიტორული/დებიტორული დავალიანების ნაშთების გათვალისწინებით) მოცულობა ჯამურად, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, აღემატება 500 000 ლარს.

#### საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები

მნიშვნელოვანია გადასახადის გადამხდელმა განსაზღვროს რა მიიჩნევა საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციად. საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციების მიეკუთვნება ისეთი ოპერაციები რომლებიც ხორციელდება საქართველოს რეზიდენტ და არარეზიდენტ საწარმოებს შორის და არარეზიდენტი საწარმო არის საქართველოს საწარმოს ურთიერთდამოკიდებული პირი ან/და შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორში) რეგისტრირებული პირი.

ორი საწარმო ერთმანეთის ურთიერთდამოკიდებულ საწარმოებად მიიჩნევიან, თუ ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში. ასევე, თუ ერთი და იგივე პირები პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ ორი პირის მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში.

საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა გულისხმობს:

- თუ პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს საწარმოს 50 პროცენტზე მეტს; ან/და
- იგი პრაქტიკულად ახორციელებს საწარმოს სამეწარმეო გადაწყვეტილებების კონტროლს.

იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთდამოკიდებულ ან/და ოფშორში რეგისტრირებულ საწარმოსთან, საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციების ჯამური ოდენობა 2025 წლისათვის აღემატება 500 000 ლარს, საქართველოს საწარმომ ხსენებულ დანართში უნდა აისახოს ინფორმაცია 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ მოგების ესტონური მოდელის (განაწილებული მოგება) მიხედვით იბეგრება საწარმო, ინფორმაციას ასახავს 2026 წლის მარტის თვის საანგარიშო პერიოდზე წარსადგენ დეკლარაციაში, შესაბამისად ინფორმაციის წარდგენის ვადა იქნება 2026 წლის 15 აპრილამდე, ხოლო სხვა შემთხვევაში მოგების წლიური დეკლარაციის შევსებისას აისახება ზემოაღნიშნული ინფორმაცია, შესაბამისად, ვადა იქნება 1-ელ აპრილამდე.

### სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციის მნიშვნელობა და მისი არარსებობით გამოწვეული რისკები

აღნიშნული ცვლილების ფარგლებში, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების დეტალური აღრიცხვა და შესაბამისი სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციის წარმოება. გამომდინარე იქიდან, რომ დეკლარაციის წარდგენისას გადასახადის გამამხდელმა უნდა მიუთითოს აქვს თუ არა კონტროლირებული ოპერაციის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, აღნიშნული დოკუმენტის არარსებობა საგადასახადო ორგანოსთვის არის ნიშანი იმის შესახებ, რომ თქვენს მიერ განხორციელებული ოპერაციები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს საბაზრო პრინციპებს. ეს კი, თავის მხრივ, დამატებით საგადასახადო რისკს წარმოუშობს საწარმოს.

**ცვლილება ამოქმედდა 2026 წლის 25 თებერვლიდან და მისი მოქმედება გავრცელდება 2025 წლის და შემდგომ საანგარიშო პერიოდზე წარსადგენ ინფორმაციაზე.**

პუბლიკაციაში გთავაზობთ ზოგად ინფორმაციას და მხოლოდ მასზე დაყრდნობით კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება არ არის რეკომენდირებული. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე მნიშვნელოვანია მიიღოთ პროფესიონალის კონსულტაცია. ანდერსენ ჯორჯია არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ზიანის გამო, რომელიც გამოწვეულია იმ ქმედებებით, რომლებიც განხორციელდა ან არ განხორციელდა ამ პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თუ გსურთ ამ საკითხების განხილვა თქვენთვის რელევანტური კონკრეტული გარემოების კონტექსტში, გთხოვთ დაუკავშირდეთ ანდერსენ ჯორჯიას.

გიორგი სვანაძე, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)

უფროსი პარტნიორი | ადვოკატი

[george.svanadze@ge.andersen.com](mailto:george.svanadze@ge.andersen.com)

ლაშა ადამაშვილი, LL.B, LL.M

საგადასახადო და საკონსულტაციო პრაქტიკის ხელმძღვანელი

[lasha.adamashvili@ge.andersen.com](mailto:lasha.adamashvili@ge.andersen.com)

გიორგი ხანჯალიაშვილი, LL.B, LL.M

საგადასახადო მენეჯერი | ადვოკატი

[giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com](mailto:giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com)